

შპს „ნორჩი დინამო-მერანი“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგები
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
და
დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა

თებერვალი 2020
თბილისი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3-4
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	5
სრული შემოსავლის ანგარიშგება	7
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	10
ახალგაზრდული ფეხბურთის ხარჯების ანგარიშგება	11
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	12
დასკვნის ბოლო გვერდი	22

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ნორჩი დინამო-მერანი“-ის მფლობელს და ხელმძღვანელობას:
ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დასკვნა

არამოდიფიცირებული მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ნორჩი დინამო-მერანი“-ის (შემდეგში „კომპანია“ ან/და „ლიცენზიის მამიებელი“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი. ანგარიშგება შედგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული საბალანსო უწყისისგან, მოგება-ზარალის უწყისისგან, ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისისგან და ახალგაზრდული ფეხბურთის ხარჯების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული განმარტებითი შენიშვნებისგან, რომელთა შორისაა ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას აღნიშნული თარიღით დასრულებული პერიოდისათვის, მცირე და საშუალო საწარმოს კომპანიების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS for SME) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მცირე და საშუალო საწარმოებისათვის, (IFRS for SME) მიხედვით. აუდიტს წარმართავთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISAs) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ ნაწილში. ჩვენ ვართ კომისიისგან დამოუკიდებელი პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდის (IESBA Code), ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს და საქართველოში არსებულ ჩვენს აუდიტთან დაკავშირებული ეთიკის მოთხოვნების შესაბამისად და აღნიშნული მოთხოვნების (და IESBA კოდის) შესაბამისად ვასრულებთ ჩვენ ეთიკურ მოვალეობებს. ჩვენი აზრით, ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულება შესაბამისია და საკმარის საფუძველს იძლევა ჩვენი არამოდიფიცირებული მოსაზრების წარმოსადგენად.

მენეჯმენტის და ფინანსური ანგარიშგების მართვაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობები

მენეჯმენტი პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარმოდგენაზე მცირე და საშუალო საწარმოს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების და იმ შიდა კონტროლის შესაბამისად, რასაც მენეჯმენტი ჩათვლის საჭიროდ ფინანსური ანგარიშგების მატერიალური ცდომილების გარეშე მოსამზადებლად, იქნება ეს განზრახ თუ უნებლიეთ გამოწვეული.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასა და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტის პასუხისმგებლობები ფინანსური ანგარიშების აუდიტისთვის

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშები მთლიანად თავისუფალია უნებლიე თუ განზრახ დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან, და გავცეთ აუდიტის დასკვნა, სადაც მოცემულია ჩვენი მოსაზრება. გონივრული მტკიცებულება არის მტკიცებულების მაღალი დონე, მაგრამ არ არის გარანტია, რომ ISAs-ს შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის აღმოაჩენს არსებით ცდომილებას, ასეთის არსებობის დროს. ცდომილება შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის გამო და მიიჩნევა არსებითად, თუკი მოსალოდნელია, რომ ერთობლივად ან ცალ-ცალკე, გავლენას იქონიებს მომხმარებელთა მიერ აღნიშნულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე.

როგორც აუდიტის ნაწილი ISAs-სთან შესაბამისად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიონალურ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიონალურ სკეპტიციზმს აუდიტის განმავლობაში. ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსური ანგარიშების განზრახ ან უნებლიეთ დაშვებული არსებითი ცდომილების რისკებს, აღნიშნული რისკების საპასუხოდ შევიმუშავებთ და ვასრულებთ აუდიტის პროცედურებს და მოვიპოვებთ ჩვენი მოსაზრებისათვის საკმარისი საფუძველის და შესაბამის აუდიტის მტკიცებულებას. თაღლითობისგან წარმოშობილი არსებითი ცდომილების ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომის შედეგად წარმოშობილი არსებითი ცდომილებისა, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, არასწორ ინტერპრეტაციას ან შიდა კონტროლის მექანიზმების დარღვევას/უარყოფას;
- გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისობა და სააღრიცხვო შეფასებების და მენეჯმენტის მიერ მათთან დაკავშირებული განმარტებითი შენიშვნების გონივრულობის შეფასება.
- სააღრიცხვო მიზნებისათვის მენეჯმენტის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენების შესაბამისობის შეფასება და მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულების საფუძველზე, აზრის გამოთქმა არსებობს თუ არა მნიშვნელოვანი უზუსტობა იმ მოვლენებსა და პირობებთან დაკავშირებით, რომლებმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ეჭვის ქვეშ დააყენოს კომპანიის ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსი.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგებების ზოგად წარმოდგენას, სტრუქტურას და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით. თუ რამდენად სამართლიანად ასახავს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები იმ ტრანზაქციებს და მოვლენებს, რომლის საფუძველზეც მოხდა მათი მომზადება.

სხვა საკითხების განხილვა მენეჯმენტთან არ მომხდარა.

ჩვენ ასევე მივაწოდეთ მენეჯმენტს განცხადება, რომ ვაკმაყოფილებთ შესაბამის ეთიკურ მოთხოვნებს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით და მივაწოდეთ ინფორმაცია ყველა კავშირზე და საკითხზე, რაც შესაძლოა ჩაითვალოს ჩვენი დამოუკიდებლობის საკითხისთვის მნიშვნელოვნად.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულება შესაბამისია და საკმარისი საფუძველს იძლევა აუდიტის მოდიფიცირებული მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად.

აუდიტის შემოწმების ხელმძღვანელი, რომელმაც შეადგინა წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა არის დავით გვეტაძე.

25, თებერვალი 2020 წ.
თბილისი, საქართველო



ლიცენზიის მაძიებელი:

შპს ს.კ.ნორჩი ღინამო-მეჩანი

საბალანსო უწყისი	2019	2018
მიმდინარე აქტივები		
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	508	80925
მოთამაშეთა ტრანსფერებთან დაკავშირებული დებიტორული დავალიანება		
ჯგუფის სანარმოებისა და სხვა დაკავშირებული მხარეების დებიტორული დავალიანება		87265
სხვა დებიტორული დავალიანება	27,410	42236
საგადასახადო აქტივები		
მატერიალური მარაგები		
სხვა მიმდინარე აქტივები		
მთლიანი მიმდინარე აქტივები	27918	210426
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	393,152.00	284166
არამატერიალური აქტივები - მოთამაშეები		
არამატერიალური აქტივები - სხვა		
მოთამაშეთა ტრანსფერებთან დაკავშირებული დებიტორული დავალიანება		
ჯგუფის სანარმოებისა და სხვა დაკავშირებული მხარეების დებიტორული დავალიანება		
საგადასახადო აქტივები		
ინვესტიციები		
სხვა გრძელვადიანი აქტივები		
მთლიანი გრძელვადიანი აქტივები	393152	284166
მთლიანი აქტივები	421070	494592
მიმდინარე ვალდებულებები		
ბანკის ოვერდრაფტები		
ბანკის და სხვა სესხები		
მოთამაშეთა ტრანსფერებთან დაკავშირებული კრედიტორული დავალიანება		
ჯგუფის სანარმოებისა და სხვა დაკავშირებული მხარეების კრედიტორული დავალიანება		
ვალდებულებები თანამშრომლების მიმართ	17820	2500
საშემოსავლო გადასახადის ვალდებულება	58585	15412
დარიცხული ვალდებულებები და გადავადებული შემოსავალი	50000	
მოკლევადიანი ანარიცხები	9165	
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	77073	43084
მთლიანი მიმდინარე ვალდებულებები	212643	60996
გრძელვადიანი ვალდებულებები		
ბანკის და სხვა სესხები		30000
მოთამაშეთა ტრანსფერებთან დაკავშირებული კრედიტორული დავალიანება		
ჯგუფის სანარმოებისა და სხვა დაკავშირებული მხარეების კრედიტორული დავალიანება/სესხები		
თანამშრომელთა მიმართ ვალდებულებები		
საშემოსავლო გადასახადის ვალდებულება		
სხვა საგადასახადო ვალდებულებები		1567
გრძელვადიანი ანარიცხები		
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები		
მთლიანი გრძელვადიანი ვალდებულებები	0	31567
სულ ვალდებულებები	212643	92563
მთლიანი აქტივები / (ვალდებულებები)	208427	402029
საკუთარი კაპიტალი		
სააქციო/სანესდებო კაპიტალი	2000	2000



ლიცენზიის მადიებელი:

შპს ს.კ.ნორჩი ღინამომ-მერანი

საბალანსო უწყისი	2019	2018
გაუნაწილებელი მოგება	179,294.00	400029
სხვა რეზერვები	27,133.00	
მთლიანი საკუთარი კაპიტალი	208427	402029
მთლიანი საკუთარი კაპიტალი და მთლიანი ვალდებულებები	421070	494592
კონტროლი (მთლიანი აქტივები = მთლიანი კაპიტალი და მთლიანი ვალდებულებები)	TRUE	TRUE
მთლიანი კაპიტალის შესაბამისობის შემოწმება		
მთლიანი საკუთარი კაპიტალის საწყისი ბალანსი	402029	268975
პერიოდის მოგება/(ზარალი) დივიდენდების შემდგომ	-220735	133054
კაპიტალის გაზრდა/კონტრიბუცია საკუთარ კაპიტალში		
ცვლილება გადაფასების რეზერვში		
სხვა მოძრაობები საკუთარ კაპიტალში/რეზერვებში პერიოდის განმავლობაში	27,133	
მთლიანი საკუთარი კაპიტალის საბოლოო ბალანსი	208427	402029
შემოწმება	TRUE	TRUE
წმინდა აქტივების/ვალდებულებების შესაბამისობის შემოწმება		
წმინდა აქტივები/ვალდებულებები - როგორც მოცემულია ზემოთ		
წმინდა აქტივები/ვალდებულებები - მონაცემი წლიური ფინანსური ანგარიშგებიდან		
შემოწმება	TRUE	TRUE
მოთამაშეთა რეგისტრაციის დანახარჯები		
დაგროვილი დანახარჯი პერიოდის დასაწყისში		
პერიოდის განმავლობაში განეული დანახარჯი		
დაგროვილი დანახარჯის შემცირება პერიოდის განმავლობაში გაყიდვების/გასვლების შედეგად		
დაგროვილი დანახარჯი პერიოდის ბოლოს	0	0
მოთამაშეთა რეგისტრაციის ამორტიზაცია		
დაგროვილი ამორტიზაცია პერიოდის დასაწყისში		
პერიოდის ამორტიზაციის დარიცხვა	0	0
დაგროვილი ამორტიზაციის შემცირება პერიოდის განმავლობაში გაყიდვების/გასვლების შედეგად		
გაუფასურების ანარიცხები პერიოდში	0	0
დაგროვილი ამორტიზაცია პერიოდის ბოლოს	0	0
ნეტო საბალანსო ღირებულება		
პერიოდის დასაწყისში	0	0
პერიოდის ბოლოს	0	0
შემოწმება	TRUE	TRUE

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია კლუბის უმაღლესი ხელმძღვანელობის მიერ და სანქციონირებულია გამოსაცემად [თარიღი]-თვის. ფინანსურ ანგარიშგებას კლუბის სახელით ხელს აწერს უფლებამოსილი პირი:

დირექტორი: ირაკლი შენგელია

თარიღი: 25.02.2020



ლიცენზიის მაძიებელი:

შპს ს.კ.ნორჩი ღინამო-მარანი

მოგება-ზარალის უწყისი **2019** **2018**

ამონაგები ბილეთებიდან - ეროვნული შეჯიბრებები		
ამონაგები ბილეთებიდან - უეფას შეჯიბრებები		
ამონაგები ბილეთებიდან - აბონემენტები		
ამონაგები ბილეთებიდან - სანეკროები		
ამონაგები ბილეთებიდან - სხვა, რომელიც არა არის ცალკე გამოყოფილი		
სულ ამონაგები ბილეთებიდან	0	0

სპონსორობა და რეკლამა - დამამზადებელი/მწარმოებელი სპონსორი		
სპონსორობა და რეკლამა - ძირითადი სპონსორი		
სპონსორობა და რეკლამა - სტადიონის სპონსორი		
სპონსორობა და რეკლამა - რეკლამები მოედნის პერიმეტრზე და დაფებზე		
სპონსორობა და რეკლამა - სხვა, რომელიც არა არის ცალკე გამოყოფილი		8475
სულ სპონსორობა და რეკლამა	0	8475

ტელეტრანსლაციის უფლებები - ეროვნული შეჯიბრებები		
ტელეტრანსლაციის უფლებები - სხვა, რომელიც არა არის ცალკე გამოყოფილი		
სულ ტრანსლაციის უფლებები	0	0

კომერციული - ეროვნული შეჯიბრებები		
კომერციული - საქონლის გაყიდვა		
კომერციული - ინფრასტრუქტურის გამოყენება არასამატჩო დღეებში		
კომერციული - სხვა, რომელიც არა არის ცალკე გამოყოფილი	218133	170752
სულ კომერციული	218133	170752

უეფას საკლუბო შეჯიბრებები - ტრანსლაციის უფლებები, კომერციული, საპრიზო ფონდი/თანხები		
უეფას საკლუბო შეჯიბრებები - სოლიდარობის გადასახადი		
უეფას სოლიდარობა და საპრიზო, რომელიც ცალკე არ არის გამოყოფილი	38,764.42	
სულ უეფას სოლიდარობის და საპრიზო თანხა	38764.42	0

სუბსიდიები, შემონირულობები და სხვა თანხები ეროვნული საფეხბურთო ორგანოებიდან	6180	15304
სუბსიდიები, გრანტები და სხვა თანხები სახელმწიფო და მუნიციპალური ხელისუფლებისგან	1036386.37	944140
შემონირულობები არადაკავშირებული მხარეებისგან		
შენატანები/შემონირულობები დაკავშირებული მხარეებისგან		
შემოსავალი არასაფეხბურთო საქმიანობებიდან		
განსაკუთრებული (გამონაკლისი) შემოსავალი		
სხვა საოპერაციო შემოსავალი, რომელიც ცალკე არა არის გამოყოფილი		
სულ სხვა შემოსავალი	1042566.37	959444

სულ შემოსავალი	1299463.79	1138671
-----------------------	-------------------	----------------

რეალიზებული პროდუქციის/მასალების ხარჯები, რომლებიც ცალკე არ არის გამოყოფილი		
სულ ხარჯები რეალიზებულ პროდუქციაზე/მასალებზე	0	0

ფეხბურთელები - ხელფასი და ანაზღაურება	-747507.68	-353400
ფეხბურთელები - გადასახადები და სოციალური შენატანები	-14568.93	-88350
ფეხბურთელების სარგებელი და სხვა ხარჯები, რომლებიც ცალკე არაა გამოყოფილი		
სულ ფეხბურთელების მომსახურების ხარჯები	-762076.61	-441750

სხვა თანამშრომლები - ხელფასი და ანაზღაურება	-309268.49	-205920
სხვა თანამშრომლები - გადასახადები და სოციალური შენატანები	-6050.99	-51480
სხვა თანამშრომლების სარგებელი და სხვა ხარჯები, რომლებიც ცალკე არაა გამოყოფილი		
სულ სხვა თანამშრომლების მომსახურების ხარჯები	-315319.48	-257400

თანამშრომლების მომსახურების ხარჯები, რომლებიც ცალკე არა არის გამოყოფილი		
სულ თანამშრომლების მომსახურების ხარჯები	-1077396.09	-699150



ლიცენზიის მაძიებელი:

შპს ს.კ.ნორჩი ღინამო-მარანი

მოგება-ზარალის უწყისი		
	2019	2018
ძირითადი საშუალებების ცვეთა	-28,094	
სხვა გრძელვადიანი არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია (გარდა ფეხბურთელების რეგისტრაციისა)		
ძირითადი საშუალებების და სხვა არამატერიალური აქტივების გაუფასურება		
სულ ცვეთა, ამორტიზაცია და გაუფასურება (გარდა ფეხბურთელების რეგისტრაციებისა)	-28094	0

მატჩის დღის ხარჯები		
სპონსორობისა და რეკლამირების ხარჯები		
კომერციული აქტივობების ხარჯები		
უძრავი ქონებისა და სათავსოების ხარჯები		
არასაფეხბურთო საქმიანობების ხარჯები		
განსაკუთრებული (გამონაკლისი) ხარჯები		
სხვა საოპერაციო ხარჯი, რომელიც ცალკე არ არის გამოყოფილი	-405135.89	-294832
სულ სხვა საოპერაციო ხარჯი	-405135.89	-294832

სულ საოპერაციო ხარჯი (ფეხბურთელების რეგისტრაციის გარეშე)	-1510625.98	-993982
---	--------------------	----------------

გრძელვადიანი არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია (ფეხბურთელების რეგისტრაცია)		
გრძელვადიანი არამატერიალური აქტივების გაუფასურება (ფეხბურთელების რეგისტრაცია)		
მოგება გრძელვადიანი არამატერიალური აქტივების რეალიზაციიდან (ფეხბურთელების რეგისტრაცია)		
ზარალი გრძელვადიანი არამატერიალური აქტივების რეალიზაციიდან (ფეხბურთელების რეგისტრაცია)		

წმინდა შედეგი ფეხბურთელების გაყიდვებიდან კაპიტალიზაციისა და ამორტიზაციის მეთოდის გამოყენებით	0	0
---	----------	----------

მოგება/(ზარალი) ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან/გასვლიდან		
მოგება/(ზარალი) სხვა გრძელვადიანი არამატერიალური აქტივების გაყიდვიდან/გასვლიდან		
სულ მოგება/(ზარალი) გრძელვადიანი აქტივების გაყიდვიდან/გასვლიდან	0	0

ფინანსური შემოსავალი		
ფინანსური ხარჯი		
წმინდა ფინანსური შემოსავალი (ხარჯი)	0	0

სხვა შემოსავალი (არასაოპერაციო)	16313.19	
სხვა ხარჯი (არასაოპერაციო)	-23659	
წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი (ხარჯი)	-7345.81	0

საგადასახადო შემოსავალი/(ხარჯი)	-2,227	-11635
მოგება/(ზარალი) დაბეგვრის შემდეგ	-220735	133054

დივიდენდები		
მოგება/(ზარალი) დივიდენდების შემდეგ	-220735	133054

დაბეგვრის შემდგომ მოგების ან (ზარალის) შემონემა:		
მოგება/(ზარალი) დაბეგვრის შემდეგ - როგორც ზემოთაა მოცემული	-220735	133054
მოგება/(ზარალი) დაბეგვრის შემდეგ - მონაცემი წლიური ფინანსური ანგარიშგებიდან	-220735	133054
შემონემა	TRUE	TRUE

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია კლუბის უმაღლესი ხელმძღვანელობის მიერ და სანქციონირებულია გამოსაცემად [თარიღი]-თვის. ფინანსურ ანგარიშგებას კლუბის სახელით ხელს აწერს უფლებამოსილი პირი:

დირექტორი: ირაკლი შენგელია



ლიცენზიის მაძიებელი:

შპს ს.კ.ნორჩი დინამო-მერანი

მომგება-ზარალის უწყისი

2019

2018

თარიღი: 25.02.2020



ლიცენზიის მადიებელი:

შპს ს.კ.ნორჩი ღინამო-მარანი

ფულადი სახსრების მოქროვის უწყისი	2019	2018
წმინდა ფულადი ნაკადების შემოსვლა/(გასვლა) საოპერაციო საქმიანობიდან	-224,768.00	205490
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ფებზურთელების რეგისტრაციების გაყიდვიდან მიღებული ფულადი სახსრები		
მოთამაშეთა რეგისტრაციების შესაძენად (გადახდილი) ფულადი სახსრები		
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული ფულადი სახსრები		
ძირითადი საშუალებების შესაძენად (გადახდილი) ფულადი სახსრები		
ფულადი ნაკადების შემოსვლა/(გასვლა) საინვესტიციო საქმიანობიდან, რომელიც არ არის ცალკე გამოყოფილი	-60,110	-157978
ფულადი ნაკადების შემოსვლა/(გასვლა) საინვესტიციო საქმიანობიდან	-60110	-157978
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
მიღებული ფულადი სახსრები სესხებიდან - მენილეები/აქციონერები და დაკავშირებული მხარე	237,231.00	
(გადახდილი) ფულადი სახსრები სესხების დასაფარად - მენილეები/აქციონერები და დაკავშირებული მხარე		
მიღებული ფულადი სახსრები სესხებიდან - საფინანსო დაწესებულებები	70,000.00	30000
(გადახდილი) ფულადი სახსრები სესხების დასაფარად - საფინანსო დაწესებულებები	-100,000.00	
სააქციო/საწესდებო კაპიტალის გაზრდით მიღებული ფულადი სახსრები		
(გადახდილი) ფულადი სახსრები მენილეებისთვის/აქციონერებისთვის დივიდენდების გადახდიდან		
ფულადი ნაკადების შემოსვლა/(გასვლა) ფინანსური საქმიანობიდან, რომელიც ცალკე არ არის გამოყოფილი	-2,538.00	
ფულადი ნაკადების შემოსვლა/(გასვლა) ფინანსური საქმიანობიდან	204693	30000
სხვა ფულადი ნაკადების შემოსვლა/(გასვლა)	-232	
წმინდა ფულადი ნაკადების შემოსვლა/(გასვლა) საანგარიშგებო პერიოდში	-80417	77512
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების რეკონსილაცია		
საანგარიშგებო პერიოდის საწყისი ბალანსი	80,925	3413
წმინდა ფულადი ნაკადები საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში	-80417	77512
საანგარიშგებო პერიოდის საბოლოო ბალანსი	508	80925
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, გამოკლებული ბანკის ოვერდრაფტები (საბალანსო უწყისიდან)	508	80925
შედარება საბალანსო უწყისთან		

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია კლუბის უმაღლესი ხელმძღვანელობის მიერ და სანქციონირებულია გამოსაცემად [თარიღი]-თვის. ფინანსურ ანგარიშგებას კლუბის სახელით ხელს აწერს უფლებამოსილი პირი:

დირექტორი: ირაკლი შენგელია

თარიღი: 25.02.2020



ლიცენზიის მაქიკაჟი:

შპს "ნორჩი ღინამო-მარანი"

ანალგაზრდული ფუნქციონის ხარჯებისა და შამოსავლების უწყისი	2019	2018	კომენტარი
ხარჯები			
თანამშრომლების გასამრჯელოები / ხარჯები, იმ თანამშრომლებისთვის, რომლებიც სრულად არიან ჩართული ახალგაზრდული ფუნქციონის განვითარების პროგრამაში	14553	16250	
თანამშრომლების გასამრჯელოები / ხარჯები ახალგაზრდა ფუნქციონებისთვის (18-წლამდე)			
თანამშრომლების გასამრჯელოები / ხარჯები ახალგაზრდა ფუნქციონებისთვის (19-დან 21-წლამდე)			
საყოფაცხოვრებო პირობებით უზრუნველყოფის ხარჯები (ფუნქციონების საცხოვრებელი, სასტუმროები და სხვ.)			
სამედიცინო დანახარჯები (სამედიცინო მომსახურება, რეაბილიტაცია, ვიტამინიზაცია)	1140		
აფგ პროგრამაში ჩართულ პირთა (მწვრთნელები, ფუნქციონები) სწავლის გადასახადი			
აფგ პროგრამით გათვალისწინებული მივლინებები (ტრანსპორტირების ჩათვლით)	2280		
აფგ პროგრამაში ჩართული გუნდების სადღეღამისო დანახარჯები			
აფგ პროგრამაში ჩართული გუნდების სპორტული ფორმა, ეკიპირება და ინვენტარი	34928	9733	
აფგ პროგრამით გათვალისწინებული ინფრასტრუქტურის ხარჯი (ახალგაზრდული გუნდების სავარჯიშო და სათამაშო სტადიონი და/ან ბაზა - მშენებლობა / მოვლა / ქირა; ოფისის კომუნალური გადასახადები / ქირა)	50000	96580	
აფგ პროგრამაში ჩართული გუნდების ტურნირებში მონაწილეობის გადასახადი	20000	10000	
ახალგაზრდული ფუნქციონის განვითარების საქმიანობაზე უშუალოდ მისაკუთვრებელი სხვა დანახარჯები - დააკონკრეტეთ კომენტარის გრაფაში! (მაგ.: ოპერატორი და სხვ.)			
სულ აფგ პროგრამის ხარჯები	122901	132563	
შამოსავლები			
უშუალოდ აფგ პროგრამის მთლიანი შემოსავალი (სწავლებისა საფასური, სანეკროები და ა.შ.)	50000	50000	
უეფადან მიღებული მიზნობრივი თანხები ახალგაზრდული ფუნქციონისთვის	38764		
სფფ-დან მიღებული მიზნობრივი თანხები ახალგაზრდული ფუნქციონისთვის			
სახელმწიფოსგან მიღებული მიზნობრივი თანხები ახალგაზრდული ფუნქციონისთვის			
ახალგაზრდული ფუნქციონისთვის მისაკუთვრებელი სხვა შემოსავლები - დააკონკრეტეთ კომენტარის გრაფაში!			
უშუალოდ აფგ პროგრამისთვის მისაკუთვრებალი მთლიანი შამოსავალი	88764	50000	
წმინდა შედეგი	-34137	-82563	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია კატეგორიის მაძიებელი იურიდიული ერთეულის უფლებამოსილი პირის მიერ:

უფლებამოსილი პირი: **ირაკლი შინგელია**
 თარიღი: **11/2/2020**

ფინანსური ანგარიშგება აუდიტირებულია აუდიტორული კომპანიის მიერ:

აუდიტორული კომპანია: **სს ფი ქეი ევ კაიზენი**
 უფლებამოსილი წარმომადგენელი: **დავით გვეტაძე**
 თარიღი: **25/2/2020**

1. ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ზოგადი ინფორმაცია

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ნორჩი დინამო-მერანი“ (შემდგომში „კლუბი“) დაფუძნდა 2011 წლის 9 აგვისტოს. კლუბის მარეგისტრირებული ორგანო არის საგადასახადო ინსპექცია. კლუბს მინიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო #400025227.

იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, ნაძალადევის რაიონი, შატილის ქ., №4

ორგანიზაციის დამფუძნებლები არიან ფიზიკური პირები დილარ ხაბულიანი, 01017006259 - 50% და ირაკლი შენგელია, 01031000876 - 50%.

შპს „ნორჩი დინამო-მერანი“-ს საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა - საფეხბურთო საქმიანობა.

2019 წლის 31 დეკემბრის მდომარეობით კლუბის აღმასრულებელი დირექტორია - ირაკლი შენგელია, 01031000876.

კლუბი 2019 წელს ასპარეზობს საფეხბურთო ეროვნულ ლიგა 2-ში.

წარდგენის საფუძვლები

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის მიერ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში წარდგენის მიზნით. ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია ლარში. ცალკეულ ფინანსურ ელემენტთან დაკავშირებული ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ.

წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

კლუბის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოდგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

ვალუტა	31-დეკ-2019	01-იან-2019
1 USD/GEL	2.8677	2.6766
1 EUR/GEL	3.2095	3.0701

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძვლები

შესაბამისობის პრინციპი

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით და ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მცირე და საშუალო საწარმოებისათვის (IFRS for SME) 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ძალაში მყოფი საერთაშორისო სააღრიცხვო სტანდარტების საბჭოს (IASB-ის) მიერ გამოცემული სტანდარტების და ინტერპრეტაციების შესაბამისად. ამასთანავე ანგარიშგება ითვალისწინებს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის კლუბების ლიცენზირების მოქმედი დებულების 48, 49, 50 და 50¹-ე მუხლების მოთხოვნების თანახმად ანგარიშგების წარდგენის შესახებ.

ფინანსური ანგარიშგებები შედგება საბალანსო უწყისისგან, მოგება-ზარალის უწყისისგან, ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისისაგან, ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარების ხარჯების ანგარიშგებისაგან და განმარტებითი შენიშვნებისგან.

რადგან 2019 წლის 31 დეკემბერს ძალაში მყოფი სტანდარტები და ინტერპრეტაციები შეიძლება შეიცვალოს ბასს-ის (IASB-ის) ან საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციის კომიტეტის (IFRIC-ის) მიერ, მენეჯმენტი არ გამოიციხება ალბათობას, რომ საბოლოო ფინანსური ანგარიშგების შედგენამდე საჭირო გახდეს ფინანსური ანგარიშგებების კორექტირება ამ ცვლილებების გამო.

შეფასების საფუძველი

შეფასების საფუძვლად გამოყენებულია ისტორიული ღირებულების მეთოდი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკით სხვაგვარად არის განსაზღვრული.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

მენეჯმენტმა მოამზადა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები ფუნქციონირებადი საწარმოს განგრძობითობის რისკის დაშვებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, ფულადი სახსრების მოძრაობა, კომპანიის ოპერაციების ზარალიანობა და საჭიროების შემთხვევაში, ადგილობრივ ფინანსურ რესურსებზე წვდომა, ანგარიშის პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფულადი საშუალებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი საშუალებებისგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები რომელთა გამოყენება არ შეიძლება 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლით ტრანზაქციებში გამოყენებისაგან აღიარდება ბალანსზე როგორც სხვა გრძელვადიანი მოვლენები.

მიღებული გრანტების და სახელმწიფო დაფინანსების აღრიცხვისას გამოიყენება შემოსავლის-მეთოდი.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ ხდება მათი შეფასება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გამოკლებული გაუფასურების რეზერვი. გაუფასურების რეზერვი იქმნება მაშინ, როდესაც არსებობს საფუძველი, რომ კომპანია ვერ მიიღებს თავდაპირველი შეთანხმებით განსაზღვრულ შესაბამის თანხას.

გაუფასურების რეზერვის თანხა არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებული მისი მომავალი ფულადი ნაკადების ახლანდელ ღირებულებას შორის. აქტივის მიმდინარე ღირებულება მცირდება რეზერვის ანგარიშის მეშვეობით, და ზარალის თანხა აღიარდება მოგება-ზარალის უწყისში. როდესაც სავაჭრო მოთხოვნების მიღება შეუძლებელია, ის ჩამოიწერება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების რეზერვის ანგარიშზე. შემდგომი აღდგენები დარეზერვებული მოთხოვნებიდან კრედიტდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აღირიცხება მათ თავდაპირველ თვითღირებულებას, დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან/და გაუფასურების ღირებულებით. ძირ. საშუალების თვითღირებულება შედგება მშენებლობის ხარჯის ან შესყიდვის ფასისგან, მასთან დაკავშირებული იმპორტის გადასახადების, გამოუქვითავი გადასახადების და სხვა პირდაპირი ხარჯების ჩათვლით. ნებისმიერი სავაჭრო ფასდაკლება გამოაკლდება შესყიდვის ან მშენებლობის ფასს.

მცირე შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლებასთან კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება.

ყველა აქტივი წარმოდგენილია საწყისი ღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მენეჯმენტი აფასებს, არსებობს თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ნიშნები. თუ გაუფასურებას ჰქონდა ადგილი, ხდება ძირითადი საშუალებების ჩამოფასება უმაღლესი თანხით შემდეგ ორს შორის: გამოყენების ღირებულება და სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის ხარჯები. საბალანსო ღირებულების შემცირება აისახება მოგება-ზარალზე. წინა პერიოდში აღიარებული აქტივის გაუფასურების დანაკარგი გაიქვითება, თუკი მოხდება აქტივის გამოყენების ღირებულების ან სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის დანახარჯების ღირებულების გამოსათვლელად საჭირო დაშვებების ცვლილება.

ძირითადი საშუალებების ჩამოწერა/რეალიზაციიდან მისაღები თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით განსაზღვრული სარგებელი და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

არამატერიალური აქტივები (მოთამაშე)

ფეხბურთელის რეგისტრაციის/შეძენის ხარჯი ასახულია არამატერიალური აქტივების სახით და ამორტიზირებულია საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიერ გამოშვებული კლუბების ლიცენზირების დებულებების დანართი IV-ის მიხედვით.

ცვეთა

ცვეთა ძირითად საშუალებებზე გამოითვლება წრფივი მეთოდით რაც გულისხმობს აქტივების ღირებულება განაწილდეს მათი გეგმიური საექსპლუატაციო ვადის ზემოთ ნარჩენი ღირებულების გამოკლებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში. შემდეგი საექსპლუატაციო ვადები გამოიყენება ძირითადი საშუალებების ჯგუფების ცვეთისათვის:

ძირითადი საშუალება	სასარგებლო ვადა (წელი)
შენობა ნაგებობები	20
მანქანა დანადგარები	5
სატრანსპორტო საშუალებები	5
ოფისის აღჭურვილობა	5
სხვა აქტივები	5

ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო ღირებულება, რასაც კომპანია მიიღებდა ამჟამად ძირითადი საშუალების გაყიდვიდან, გაყიდვის ხარჯების გამოკლებით. ძირითადი საშუალებების მომსახურების პერიოდი გადაიხედება ყოველწლიურად და იცვლება საჭიროების შემთხვევაში.

შემოსავლის აღიარება

განვლილ პერიოდში მიღებული სუბსიდიები, შემოწირულობები, და სხვა თანხები ეროვნული საფეხურით ორგანოებიდან, შემოწირულობები და სხვა არადაკავშირებულ მხარიდან მიღებული შემოსავლები, აღიარებულია შემოსავალში დარიცხვის მეთოდით, რომლის მიხედვითაც მსგავსი შემოსავლები აღიარდება მოგებაში ან ზარალში სისტემურ საფუძველზე, იმ საანგარიშო პერიოდებში, რომელშიც საწარმო ხარჯად აღიარებს დანახარჯებს, რომელთა დაფინანსებაც გრანტის მეშვეობით ხდება, ხოლო სხვა საოპერაციო შემოსავლები დარიცხვის მეთოდით.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებას იმ საქონლისა თუ მომსახურებისთვის, რომელიც კომპანიამ შეიძინა მისი მომწოდებლებისგან ჩვეულებრივი ბიზნეს ოპერაციებით. სავაჭრო მოთხოვნები კლასიფიცირდება, როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუ გადახდის ვალდებულება არის ერთ წლამდე პერიოდში, თუ არა, როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები. ამჟამად კომპანიის მთლიანი სავაჭრო ვალდებულებების დაფარვა მოსალოდნელია საბალანსო ანგარიშგების თარიღიდან ერთ წლამდე პერიოდში და კლასიფიცირებულია, როგორც მიმდინარე ვალდებულებები.

სავაჭრო ვალდებულებების თავდაპირველი აღიარებისას ფასდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ პერიოდში ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი წარმოადგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ან დასკვნის თარიღისთვის ამოქმედებული კანონმდებლობის მიხედვით. მოგების გადასახადი წარმოადგენს მიმდინარე გადასახადს და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ის პირდაპირ აღიარებულია კაპიტალში, რადგანაც უკავშირდება ოპერაციებს, რომლებიც იმავე ან განსხვავებულ პერიოდში, ასევე პირდაპირ კაპიტალში აღიარდება.

მიმდინარე მოგების გადასახადი არის მიმდინარე ან გასული პერიოდის დასაბეგრი მოგების გადასახდელი ან ზარალის შესაბამისი მოგების გადასახადის აღდგენადი თანხა. იმ შემთხვევაში თუ ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნება ხდება საგადასახადო დეკლარაციების ჩაბარებამდე, დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება შეფასებებს. გადასახადები, მოგების გარდა, აღირიცხება ადმინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.

გადავადებული მოგების გადასახადი აღარ მიესადაგება ფინანსურ ანგარიშგებებს, იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს ახალი საგადასახადო კოდექსით აღარ გამოიყენება.

მარაგები

მარაგები აღირიცხება ღირებულებასა და სუფთა სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესით.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ჩამოწერა და ანგარიშგებაში ასახვა ხდება ინდივიდუალურ დანახარჯთა მეთოდით.

წინასწარ გადახდილი ხარჯები

წინასწარ გადახდილი ხარჯები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ ან აღნიშნული წინასწარ გადახდა უკავშირდება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად.

ძირითადი საშუალებების შესაძენად განხორციელებული წინასწარი გადახდები გადავა ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტროლს ამ ძირითად საშუალებაზე და მოსალოდნელია ამ აქტივისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება.

სხვა წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალზე, როდესაც ხდება წინასწარ გადახდებთან დაკავშირებული შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მიღება. თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარ გადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალის ინვესტირება აღიარდება ნომინალური ღირებულებით და კლასიფიცირდება როგორც საწესდებო კაპიტალი. დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება იმ პერიოდისთვის, რომელშიც იგი გამოცხადდება.

სესხები

კომპანიას არ აქვს მიმდინარე სასესხო ვალდებულებები, რომლებიც აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით ამორტიზებული ღირებულებით.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არა-ფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესაბამისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

კლუბის ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან გარკვეული შეფასებების და დაშვებების გაკეთებას, რომელიც გავლენას ახდენს მოგების, ხარჯების, აქტივების და ვალდებულებების ღირებულებაზე და მათ შესაბამის შენიშვნებზე და პირობითი ვალდებულების შენიშვნაზე. უზუსტობამ აღნიშნულ შეფასებებში და დაშვებებში შესაძლოა გამოიწვიოს ისეთი შედეგი, რომელიც საჭიროს გახდის აქტივის საბალანსო ღირებულების მატერიალურ კორექტირებას ან გავლენას მოახდენს ვალდებულებაზე მომავალ პერიოდში.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო კოდექსი და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებს.

გადასახადები

გადავადებული საგადასახადო აქტივი აღიარდება გამოუყენებელი საგადასახადო დანაკარგებისთვის, იმდენად რამდენადაც სავარაუდოა, რომ დასაბეგრი მოგება ხელმისაწვდომი იქნება დანაკარგების გამოყენებისთვის. საჭიროა მენეჯმენტის მსჯელობა, რათა განისაზღვროს გადავადებული საგადასახადო აქტივის ღირებულება, რომელიც შეიძლება აღიარდეს, მომავალ დასაბეგრ მოგებასა და მომავალ საგადასახადო სტრატეგიაზე დაყრდნობით.

ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობა

კომპანია აკეთებს ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობის შეფასებას, სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, როგორებიცაა: ტექნიკური ან კომერციული მოძველება, მოსალოდნელი წარმადობა, სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა, რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებზე. მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობა ცდილობს მაქსიმალურად ზუსტად შეაფასოს ძირითადი საშუალებით გამოსახული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოდელი, ის შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან, რამაც შესაძლოა მატერიალური გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენილ მონაცემებზე.

შპს „ნორჩი დინამო-მერანი“
ფინანსური უწყისები და შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებებზე

4. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები	31.12.2019	31.12.2018
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	-	6,175
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	508	74,751
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	-	-
სულ ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები	508	80,925

ნაღდი ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე შესაძლოა კლასიფიცირებული იყოს, როგორც არასარისკო, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბანკები, სადაც კომპანიას მიმდინარე ანგარიშები აქვს, არის სანდო და საყოველთაოდ ცნობილი საკრედიტო დაწესებულებები.

5. სხვა დებიტორული დავალიანება

სხვა დებიტორული დავალიანება	31.12.2019	31.12.2018
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	2,500	42,236
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	24,910	-
სულ სხვა დებიტორული დავალიანება	27,410	42,236

6. ძირითადი საშუალებები

	სტადიონი	მანქანა დანადგარები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სულ
ისტორიული ღირებულება				
ბალანსი 31.12.2018 წლის მდგომარეობით	-	-	284,166	284,166
შეძენა	32,551	2,662	101,867	137,080
ჩამოწერა	-	-	-	-
ბალანსი 31.12.2019 წლის მდგომარეობით	32,551	2,662	386,033	421,246
ცვეთა				
ბალანსი 31.12.2018 წლის მდგომარეობით	-	-	-	-
დამატება	-	(169)	(27,925)	(28,094)
შემცირება	-	-	-	-
ბალანსი 31.12.2019 წლის მდგომარეობით	-	(169)	(27,925)	(28,094)
ბალანსი 31.12.2018 წლის მდგომარეობით	-	-	284,166	284,166
ბალანსი 31.12.2019 წლის მდგომარეობით	32,551	2,493	358,108	393,151

შპს „ნორჩი დინამო-მერანი“
 ფინანსური უწყისები და შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებებზე

7. ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ

ვალდებულებები თანამშრომლების მიმართ	31.12.2019	31.12.2018
გადასახდელი ხელფასი	17,820	2,000
სულ ვალდებულებები თანამშრომლების მიმართ	17,820	2,000

8. სხვა მიმდინარე ვალდებულებები

სხვა მიმდინარე ვალდებულებები	31.12.2019	31.12.2018
საქონლისა და მომსახურების ძირითადი მომწოდებლები	38,822	42,461
საგადასახადო ვალდებულებები	60,784	17,002
მიღებული ავანსები	1,800	-
საპენსიო შენატანის ანგარიშსწორების ანგარიში	34,252	-
სულ სხვა მიმდინარე ვალდებულებები	135,658	59,463

9. დარიცხული ვალდებულებები და გადავადებული შემოსავალი

დარიცხული ვალდებულებები და გადავადებული შემოსავალი	31.08.2019	31.12.2018
გადავადებული შემოსავალი	50,000	-
სულ დარიცხული ვალდებულებები და გადავადებული შემოსავალი	50,000	-

10. კაპიტალი

კაპიტალი	31.12.2019	31.12.2018
სააქციო/საწესდებო კაპიტალი	2,000	2,000
გაუნაწილებელი მოგება	231,494	400,029
სხვა რეზერვები და დაფინანსება	27,133	-
სულ კაპიტალი	260,627	402,029

11. სუბსიდიები, შემოწირულობები, გრანტები და სხვა თანხები ეროვნული საფეხბურთო ორგანოებიდან სახელმწიფო და მუნიციპალური ხელისუფლებისგან

სუბსიდიები, შემოწირულობები, გრანტები და სხვა თანხები ეროვნული საფეხბურთო ორგანოებიდან სახელმწიფო და მუნიციპალური ხელისუფლებისგან	2019
ა(ა) იპ ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდი	1,036,386
საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია	6,180
უეფა სოლიდარობა	38,764
სულ სუბსიდიები, შემოწირულობები და სხვა თანხები ეროვნული საფეხბურთო ორგანოებიდან	1,081,331

12. კომერციული შემოსავლები

კომერციული - სხვა, რომელიც არ არის ცალკე გამოყოფილი	2019
იჯარიდან მიღებული შემოსავლები	218,133
სულ კომერციული - სხვა, რომელიც არ არის ცალკე გამოყოფილი	218,133

13. თანამშრომელთა - ხელფასი და ანაზღაურება

თანამშრომელთა - ხელფასი და ანაზღაურება	2019
ფეხბურთელების შრომის ანაზღაურება	747,508
ადმინისტრაციის შრომის ანაზღაურება	228,288
მწვრთნელების შრომის ანაზღაურება	80,980
სულ სხვა თანამშრომელები - ხელფასი და ანაზღაურება	1.056,776

14. სხვა საოპერაციო ხარჯი, რომელიც ცალკე არ არის გამოყოფილი

სხვა საოპერაციო ხარჯი, რომელიც ცალკე არ არის გამოყოფილი	2019
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	285,128
გაყიდული/შემენილი საქონელი	117,164
საბანკო ხარჯი	2,842
სხვა საგადასახადო ხარჯი	2,227
ცვეთის ხარჯი	28,094
სულ სხვა საოპერაციო ხარჯი, რომელიც ცალკე არ არის გამოყოფილი	435,456

15. არასაოპერაციო (შემოსავლები) ხარჯები

სხვა საოპერაციო ხარჯი, რომელიც ცალკე არ არის გამოყოფილი	2019
შემოსავლები კურსთაშორის სხვაობიდან	(2,864)
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	(13,450)
საპროცენტო ხარჯი	2,372
ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან	1,548
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	19,740
სულ სხვა საოპერაციო ხარჯი, რომელიც ცალკე არ არის გამოყოფილი	7,347

16. გაუთვალისწინებელი ხარჯები, ვალდებულებები და ოპერაციული რისკები

სამართალწარმოება

საკუთარ შეფასებაზე და პროფესიონალურ რჩევაზე დაყრდნობით კომპანიის მენეჯმენტი არ ელოდება რაიმე სახის მატერიალურ დანაკარგებს მოთხოვნებთან დაკავშირებით შესაბამისად ფინანსურ უწყისებში რეზერვის აღიარება და შენიშვნების გამოქვეყნება არ მიიჩნია მართებულად.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ხშირად ექვემდებარება სხვადასხვანაირ განმარტებას და ცვლილებებს. მენეჯმენტის მიერ კანონის ინტერპრეტაცია, რომლის მიხედვითაც კომპანია საქმიანობს და ხელმძღვანელობს ტრანზაქციების გატარების დროს შესაძლებელია გახდეს შემოდავების საგანი საგადასახადო ორგანოთა მიერ. საქართველოს საგადასახადო ორგანოები კანონმდებლობის და გადასახადის დათვლის ინტერპრეტაციისას შეიძლება იღებდნენ უფრო კონკრეტულ და რთულ მიდგომას, ასევე შესაძლებელია, რომ ის ტრანსაქციები და ოპერაციები რაზეც წარსულში არ ყოფილა საგადასახადო ორგანოების მხრიდან დავა, მომავალში გახდეს დავის საგანი, რის შედეგადაც შეიძლება დაერიცხოს მნიშვნელოვანი მოცულობის დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და პროცენტები. მენეჯმენტს მიაჩნია, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მათი ინტერპრეტაცია სწორია და კომპანიის გადასახადი, სავალუტო კანონმდებლობა და საბაჟო პოზიცია შენარჩუნდება შესაბამისად.

17. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია IAS 24-ით „შენიშვნები დაკავშირებული მხარეების შესახებ“, წარმოადგენს :

- (a) მხარეები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად, ერთი ან მეტი შუამავალის მეშვეობით: აკონტროლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები და თანამზრახველები; ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;
- (b) პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივი საწარმო.
- (c) ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;
- (d) კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.
- (e) ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია ა ან დ-ში;
- (f) მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, და ან ე-ში ნახსენებ ინდივიდუალებს.
- (g) დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

**შპს „ნორჩი დინამო-მერანი“
ფინანსური უწყისები და შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებებზე**

კომპანიის ოპერაციებს დაკავშირებულ მხარეებთან ძირითადად წარმოადგენენ შემოწირულობებს კომპანიის მენეჯმენტისაგან და სამეთვალყურეო ორგანოს წევრებისაგან.

შემოწირულობები დაკავშირებული მხარისგან	2019	2018
ირაკლი შენგელია	27,133	-
სულ შემოწირულობები დაკავშირებული მხარისგან	27,133	-

მენეჯმენტის ანაზღაურება	2019	2018
ხელფასები და სხვა	52,653	14,579
სულ მენეჯმენტის ანაზღაურება	39,923	11,105

18. საქმიანობის უწყვეტობა

ფინანსური ანგარიშები მომზადდა განგრძობითი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით, რაც ნიშნავს იმას, რომ კომპანია შეძლებს, დააკმაყოფილოს საკრედიტო მომსახურების დაფარვის პირობები.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მენეჯმენტი განიხილავს საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებულ საკითხებს, რათა დარწმუნდეს, რომ ფინანსური ანგარიშგების წარდგენა საწარმოს უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე სამართლიანია. მენეჯმენტი მიიჩნევს და დარწმუნებულია, რომ კომპანიის უწყვეტ ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება და არც თვითონ აქვს კომპანიის ლიკვიდაციის ან საქმიანობის მნიშვნელოვანი შეზღუდვის გეგმები.

19. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ადგილი არ ჰქონია სხვა ისეთ მოვლენებს, რომელიც მოითხოვს განმარტებით შენიშვნებში აღნიშვნას ან მოითხოვს ფინანსური ანგარიშგების კორექტირებას.